ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7644245

ნომერი: AR11102408

თარიღი : 29.07.2025

გაცემის თარიღი : 26.09.2025

გაცნობის თარიღი : 30.09.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ქვემო ალექსეევკა , რკინიგზის სადგური ,,ველის" მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიკო ჭიჭილეიშვილი პ/ნ 26001010202
- tevdore mgvdlis 14

ორგანიზაცია:

- შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია კოდი: 202886788

ნომენკლატურა :

- მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა
- ქალაქ თბილისის თვითმართველი ერთეული

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს სოფიკო ჭიჭილეიშვილის 29/07/2025 AR11102408 განცხადება.
2. შეთანხმდეს: ქ. თბილისი, სექტორი - სამგორი, დასახლება ქვემო ალექსეევკა, რკინიგზის სადგური“ ველის“ მიმდებარედ ს.კ N 01.19.31.004.109; მუნიციპალური ავტობაზის (და წარმოდგენილი დამხმარე შენობების) არქიტექტურული პროექტი მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით .
3. მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის შემთხვევაში მოპოვებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
4. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში მოპოვებული იქნას შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
5. დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობის, მათ შორის (და არა მხოლოდ) , „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს და 2021 წლის 01 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.